კრეატიული ეკონომიკა: არსი და განვითარების პრობლემები

DOI:10.36962/ECS105/11-12/2023-47

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი.
შალვა კუტუბიძე
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ. ასისტ. პროფესორი.

რეზიუმე

განხილულია კრეატიული ეკონომიკის არსი, დაზუსტებულია სამეცნიერო ტექნიკური პროგრესისა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირობებში მისი თავისებურებები; განსაზღვრულია მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები-პროგრესი და რესურსი; დასაბუთებულია კრეატიული ეკონომიკის ადექვატური თავისებურებების ფორმირებების მიმართულებები მენეჯმენტის სისტემაში. აღნიშნულია,რომ კრეატიული ინდუსტრია არის ერთ-ერთი ფაქტორი მდგრადი განვითარებისა და რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლას.გაანალიზებულია კრეატიული ინდუსტრიის არსი, კრეატიული სექტორის ეკონიმიკური მახასიათებლები.აღნიშნულია, რომ ფუნდამენტური ცვლილებები,რომლებიც იყო ცივილიზაციაში გასული საუკუნის ბოლოს. გლობალიზაციამ და ახალმა ეკონომიკამ (ცოდნის ეკონომიკა)-შექმნა ახალი წანამძღვრები მაღალეკონომიკური ე.წ."კრეატიული ეკონომიკის" წარმოქმნისა და განვითარებისათვის. საფუძველი კრეატიული ეკონომიკის განვითარებისათვის გახდა ადამიანის კრეატიული პოტენციალი.

ამჟამად საკმაოდ რთულია მიღებული ზომების ეფექტურობისა და ადეკვატურობის ზუსტად შეფასება. ის ფაქტი, რომ შემოქმედებით ინდუსტრიას მხარდაჭერა სჭირდება, უდაოა. სახელმწიფოს ფუნქცია კრეატიული ინდუსტრიების პოტენცი-

ური წარმატების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტია, რადგან სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ფაქტორში, როგორიცაა განათლების დონე, ეკონომიკური დივერსიფიკაცია, ინფრასტრუქტურა და ა.შ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ,რომ XX1 საუკუნეში ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა იქცეს კრეატიული ადამიანური რესურსი,რომელსაც გააჩნია სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კრეატიული აზროვნება და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის უნარი.კრეატიულობა საბოლოოდ იქნება მთავარი პოტენციალი და ინსტრუმენტი ეკონომიკაში აზროვნებისა და მართვის ტრადიციულ ხერხებთან ერთად.სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ლიდერები იქნებიან მხოლოდ ის კომპანიები,რომლებიც აითვისებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კრეატიული მართვის მეცნიერებას.მხოლოდ ეს საწარმოები, კომპანიები, ორგანიზაციები ეფექტიანად განვითარდებიან კრეატიული ეკონომიკის ეტაპზე და შეეძლებათ გადავიდნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კრეატიული მართვის მეთოდებზე-მექანიზმებზე და ინსტრუმენტებზე. ცხადია,რომ სამუშაოთა მიმცემები ინოვაციური ეკონომიკის პირველ ეტაპზე დიდ ყურადღებას დაუთმობენ ინჟინერ-ტექნიკურ კადრებს,სპეციალისტებს,რომლებსაც ექნებათ მაღალი პროფესიული ცოდნა,უნარი, კომპეტენციები,მაღალი ინტელექტი და აზროვნების კრეატიულობა.სამუშაოთა მიმცემებს ექნებათ დიდი მოთხოვნელება კადრების მიმართ, აგრეთვე მათ უნდა გააჩნდეთ ჯანსაღი ინიციატივობა,ამბიციურობა „აგრესიაზე“.

საკვანძო სიტყვები: კრეატიული ეკონომიკა, პროგრესისა და რეგრესის ტენდენცია, არასტანდარტული მმართველობითი გადაწყვეტილებები,სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობათა სისტემა, ინოვაციური საქმიანობა, კრეატიული მენეჯმენტი.

ძირითადი ტექსტი

ცნება „კრეატიული ეკონომიკა“ სულ უფრო ხშირად გამოიყენება ეკონომიკურ ლექსიკაში.მრავალი მეცნიერის აზრით „კრეატიული ეკონომიკა“შემდგომშიც იქნება სოციალურ-ეკონიმიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფორმა.მათი აზრით სოციალურ ეკონომიკის ურთიერთობის ინტელექტუალური გარემოს ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ადამიანთა შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნებას, მათ მიერ ახალი შემოქმედებითი იდეების შექმნას და ცხოვრებაში წარმატებით გატარებას.სწორედ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კრეატიული ეკონომიკა იქნება ადამიანთა შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნება.

ტერმინი „კრეატიული ეკონომიკა“პირველად შემოღებულ იქნა სამეცნიერო წრეში 2000 წ. ჯონ ჰოკინსის მიერ.მისი კონცეფციის თანახმად „კრეატიულმა ეკონომიკამ“ პირველად თავისი გამოხატულება ჰპოვა წარმატებით განვითარებულ კრეატიულ ბიზნესში.მისი აზრით კრეატიული ეკონომიკის თავისებურება გამოიხატება სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში,მის შემეცნებით განვითარებასა და სრულყოფასთან ერთად,რაც საბოლოოდ გამოიწვევს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ახალი კრეატიული სექტორის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომლის საფუძველია შემოქმედებითი და ინტელექტუალური რესურსის გამოყენება.

სულ სხვა განმარტებას იძლევა რიჩარდ ფლორიდი ტერმინ „კრეატიული ეკონომიკის“ შესახებ. “კრეატიული ეკონომიკის“ სპეციფიკის გამოვლინების საფუძვლად მან მიიჩნია კრეატიულ ინდუსტრიაში პროფესიები, მომუშავეთა საქმიანობის სახეები.

ამჟამად ცნება „კრეატიული „ეკონომიკა“ხშირად ასოცირდება „ცოდნის ეკონომიკასთან“, ამასთან აქ ლაპარაკია ეკონომიკის განსაკუთრებულ სექტორზე, რომელიც დაფუძნებულია პირველ ყოვლისა სხვადასხვა ინტელექტუალურ შრომაზე. ასეთი განმარტება ჩვენი აზრით გარკვეულწილად სამართლიანია.

2021 წელი გაეროს მე-7 სესიაზე გამოცხადებულ იქნა „კრე-

ატიული ეკონომიკის“ მდგრადი განვითარების საერთაშორისო წლად.რატომ არის „კრეატიული ეკონომიკის“ თემა ასეთი აქტუალური? თანამედროვე პირობებში „კრეატიულ ეკონომიკას“ თვლიან საზოგადოების გადამრჩენად, ეს დაკავშირებულია იმასთან,რომ მსოფლიო იცვლება არაპროგნოზირებადი მოვლენების ზემოქმედებით.პარალელურად წარმოიქმნება პრობლემები და ხდება მსოფლიო კრიზისები-ეკოლოგიური, ფინანსური, ქვეყნებს შორის განხეთქილებები,ნდობის დაკარგვა, ურთიერთობათა კრიზისი.საზოგადოების განვითარებასთან ერთად პრობლემეbი კი არ მცირდება, პირიქით, იზრდება და რთულდება.

ამიტომ „კრეატიული ეკონომიკა“ ერთ-ერთი ისეთი სფეროა, რომელსაც შეუძლია ეს პრობლემები გადაწყვიტოს. „კრეატიული ეკონომიკა“ ცვლის ეკონომიკას,მომსახურების სფეროს,ვაჭრობას და გართობის სფეროს.იგი ასევე ცვლის ბუნებას,რომელშიც ადამიანებს სურთ იცხოვრონ და ისწავლონ.“კრეატიული ეკონომიკა“-მსოფლიო ეკონომიკის სწრაფმზარდი დარგია.იგი შემოსავლების გენერირების ნაწილში სამუშაო ადგილების და ექსპორტის მხრივ დინამიურია,რამდენადაც ნაკლებადაა დამოკიდებული მატერიალურ რესურსებზე. „კრეატიულ ეკონომიკას“, რომელიც იმყოფება მაღალი ტექნოლოგიის და შემოქმედების შეერთების სათავეებთან,თავისი დიდი წვლილი შეაქვს განვითარებული ქვეყნების მთლიანი პროდუქტის ნამატში და იძლევა უმაღლეს მაჩვენებლებს მსოფლიო ეკონომიკაში.

მკვლევარები პროგნოზირებენ,რომ მომავალში „კრეატიული ეკონომიკის“ განვითარების სწრაფი ტემპების გამო განსხვავება ეკონომიკის განვითარებასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის გაიზრდება.მსოფლიო გლობალიზაციამ და ახალმა ეკონომიკამ(ცოდნის ეკონომიკა)შექმნა წანამძღვრები ე.წ.“კრტეატიული ეკონომიკის“ წარმოქმნისა და განვითარებისათვის.აქ ლაპარაკია ეკონომიკაზე, რომლის საფუძველია ადამიანის კრეატიული ანუ შემოქმედებითი პოტენციალი,მისი უნარი,ტალანტი, რომლებიც ეყრდნობიან თანამედროვე ტექნოლოგიებისა

და ცოდნის ბაზას და საბოლოოდ შეუძლიათ შეიტანონ წვლილი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში.

„კრეატიული ეკონომიკის“ თვალსაჩინო მაგალითია კომპანია e-bau, რომელიც უმოკლეს ვადაში გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი კომპანია და მისი წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო „კრეატიული ეკონომიკის“იდეა მისი ერთ-ერთ შემქმნელის იდეა.“კრეატიული ეკონომიკის“ სფეროში ლიდერ ქვეყნად ითვლება დიდი ბრიტანეთი,სადაც „კრეატიული ეკონომიკა“ უზრუნველყოფს მშპ-ის 7 %-მდე.ამასთან იგი მუდმივად იზრდება.ამით აიხსნება განვითარებული ქვეყნების პოლიტიკა,რომლებიც სულ უფრო ათვითცნობიერერებენ კრეატიული ეკონომიკის მნიშვნელობას ეკონომიკის მომავალი განვითარებისათვის, ქმნიან საუკეთესო პირობებს ადამიანთა შემოქმედებითი პოტენციალის ასამაღლებლად.ტერმინი „კრეატიულობა“ ფართო გაგებით ნიშნავს შემოქმედებას.უკანასკნელ დრომდე სამამულო და სამეცნიერო ლიტერატურაში იგი განიხილებოდა როგორც ურთიერთ შემავსებული,ამასთან რიგი ავტორები მათ აცალკევებდნენ.

ამჟამად კრეატიულობის ცნება ასოცირდება პიროვნების უნართან, პრობლემის გადაჭრის მხრივ,გამოიძებნოს ახალი არასტანდარტული, ორიგინალური მიდგომები, დაფუძნებული პრინციპულად ახალ ცოდნაზე, შესაძლებლობებზე, ტრადიციებზე,

დ.სმაროდოვის(2) კონცეფციის განვითარებით კრეატიულ პიროვნებასთან დაკავშირებით ჩვენ დავაზუსტეთ ეს ტერმინი: კრეატიული პიროვნება ეს სპეციფიკური პიროვნებაა,რომელსაც უნარი აქვს მიიღოს დამოუკიდებლად ახალი ცოდნა,შესაძლებლობები,ტრადიციები, კომპეტენციები. კრეატიული პიროვნება ფლობს არასტანდარტული აზროვნების უნარს. კრეტიულობა(5) (შემოქმედებითი უნარი, შემოქმედებითი აქტიურობა, შემოქმედებითი მიდგომა)-ესაა უნარი წარმოქმნას არაჩვეულებრივი იდეები,უარი თქვას აზროვნების ტრადიციულ სქემებზე,სწრაფად და ენერგიულად განახორციელოს ინტელექტუალური გარღვევა პრობლემების გადაჭრაში.

კრეატიულობის გამოვლენის ყველაზე ცნობილი ფორმაა: ინოვაციები-პრინციპულად ახალი იდეების წამოწევა, სიახლეების შემოტანა, გამოგონებები-ახლის შექმნა.კრეატულობის განსაზღვრის ძირითადი ფაქტორებია, ერთის მხრივ, ისეთი პირადი თვისებები, როგორცაა აზროვნების მოქნილობა, სისწორე, გამომგონებლობა,კონსტრუქტულობა და სხვა. მეორე მხრივ, ცხოვრებისეული გამოცდილება და პიროვნების ინდივიდუალური ცოდნა განსაზღვრულ სფეროში.უკანასკნელმა შეიძლება მოიტანოს როგორც სარგებელი,ისე იყოს შემზღუდავი ფაქტორიც.(6).კრეატიულობის საშუალებით ჩნდება სრულიად ახალი,პირველი შეხედვით აბსურდული, თუმცა იმავდროულად რაციონალური კავშირები.

კრეატიულობა ვლინდება ადამიანის შემოქმედებით პოტენციალში,მის უნარში შემოქმედებითად მიუდგეს იდეების გენერირებასა და პრობლემური სიტუაციის დადებითად გადაწყვეტას.კრეატიულობა ვლინდება აგრეთვე ინდივიდის უნარში სწორად და თავისდროულად მოახდინოს რეაგირება სხვადასხვა სიახლეებსა და ნაკლოვანებებზე.

ამასთან დაკავშირებით „კრეატიული ეკონომიკა“ ასოცირდება, პირველ რიგში, ეკონომიკური აზროვნების ორგინალურ სპეციფიკურ ფორმასთან, რომელიც განსხვავდება საყოველთაოდ მიღებულ ტიპიურ ლოგიკურ სქემებისაგან და რომელსაც უნარი აქვს ახალი სოციალურ-ეკონომიკური

კავშირების შექმნისა მოვლენებსა და პროცესებს შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “კრეატიული ეკონომიკის“ ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ სპეციფიკურ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც წარმოიქმნა წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების შედეგად, არასტანდარტულ, არატრადიციულ კონცეფციების, სტრატეგიების, ღონისძიებების საფუძველზე და უზრუნველყოფენ ახალ ცოდნასა და ხარისხობრივად ახალეფექტიან გადაწყვეტილებებს.ეკონომიკაში კრეატიული გადაწყვეტილება ვლინდება, პირველ რიგში, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობის ეფექტიანობაში.

"კრეატიული ეკონომიკა" დაფუძნებულია არასტანდარტულ, ორიგინალურ, არატრადიციულ სამმართველო გადაწყვეტილებებზე სტრატეგიის განვითარების მხრივ კრიზისული სიტუაციის გადასალახავად, როცა საჭიროა პრინციპულად ახალი გზების გამოძებნა და რეალიზაცია რათა მიღწეულ იქნეს ბაზარზე კონკურენტუნარიანობა და წარმატება.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ,რომ XX1 საუკუნეში ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა იქცეს კრეატიული ადამიანური რესურსი,რომელსაც გააჩნია სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კრეატიული აზროვნება და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის უნარი.კრეატიულობა საბოლოოდ იქნება მთავარი პოტენციალი და ინსტრუმენტი ეკონომიკაში აზროვნებისა და მართვის ტრადიციულ ხერხებთან ერთად.სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ლიდერები იქნებიან მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც აითვისებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კრეატიული მართვის მეცნიერებას. მხოლოდ ეს საწარმოები, კომპანიები,ორგანიზაციები ეფექტიანად განვითარდებიან კრეატიული ეკონომიკის ეტაპზე და შეეძლებათ გადავიდნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კრეატიული მართვის მეთოდებზე მექანიზმებზე და ინსტრუმენტებზე. ცხადია,რომ სამუშაოთა მიმცემები ინოვაციური ეკონომიკის პირველ ეტაპზე დიდ ყურადღებას დაუთმობენ ინჟინერ-ტექნიკურ კადრებს, სპეციალისტებს, რომლებსაც ექნებათ მაღალი პროფესიული ცოდნა,უნარი, კომპეტენციები, მაღალი ინტელექტი და აზროვნების კრეატიულობა.სამუშაოთა მიმცემებს ექნებათ დიდი მოთხოვნელება კადრების მიმართ, აგრეთვე მათ უნდა გააჩნდეთ ჯანსაღი ინიციატივობა, ამბიციურობა .

სოციალური ორიენტაცია.კრეატიული ეკონომიკის პირობებში სამმართველო კადრები უნდა ფლობდნენ ინოვაციური მიზნების ჩამოყალიბების უნარს, წარმატებით გადაწყვიტოს არასტანდარტული პრობლემები, იმოქმედონ კრეატიულად, როგორც ბიზნესში,ასევე ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფე-

როებში. ამასთან დაკავშირებით კრეატიულმა ეკონომიკამ უნდა გაზარდოს მოთხოვნა და შესაბამისად მოამზადოს კრეატიული კადრები ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში.

კრეატიულ პირობებში თანამედროვე კადრებისადმი მოთხოვნაა შეიცვალოს კომპანიების აქტივების მატერიალური და არამატერიალური სტრუქტურა,რომლებიც წარმატებით მოქმედებენ და წამყვანი პოზიციები უკავიათ სამამულო და უცხოურ ბაზრებზე.

პერსპექტივაში „კრეატიული ეკონომიკის“ პირობებში მნიშვნელოვნად გაიზრდება კრეატიულ-ინტელექტუალური დანახარჯების წვლილი. “საერთაშორისო ანალიტიკური ბიუროს“ ორგანიზაციის ექსპერტთა მონაცემებით „კრეატიული ეკონომიკის პირობებში მენეჯერის პროფესიულ პორტრეტს უნდა ახასიათებდეს შემდეგი პარამეტრები:

- კრეატიულ-ინტელექტუალური მომზადების მაღალი დონე;
- არასტანდარტული აზროვნება და ანალიტიკური პროგნოზი;
- პრობლემის არსის გამოვლენის უნარი;
- მაღალი პროფესიული მომზადება და შესაბამისი მაღალი განათლება;
- თანამედროვე ინსტრუმენტებისა და მეთოდების ფლობა(ინფორმაციულ- კომუნიკაციური);
- კომუნიკაბელობის მაღალი დონის ფლობა.

ინოვაციური ეკონომიკის პირველ ეტაპზე სულ უფრო იზრდება ახალი თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მეთოდების რაციონალურ გამოყენებაში ადამიანის კრეატიულ-ინტელექტუალური პოტენციალის, როგორც პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ადამიანის საწარმოო ძალის ეფექტიანი გამოყენების სტრუქტურული ინსტრუმენტი.

ყოველივე ეს მოითხოვს კადრების მომზადებას, პროფესიულ გადამზადებას, მისი დონის ამაღლებას ადექვატური კრეატიული ეკონომიკის თავისებურებებთან მიმართებაში.ასეთ კადრებს უნდა ჰქონდეთ უნარი სწრაფად გადაერთნენ ერთი პირობებიდან მეორეზე, სწრაფად, ეფექტიანად მიიღონ სამ-

მართველო გადაწყვეტილებები,რომლებიც უზრუველყოფენ პრინციპულად ახალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამაღლებას და რომელშიც ჩართულ იქნება სოციალურ-ფსიქოლოგიური,ინოვაციურ-საინფორმაციო და ეფექტიანობის სხვა სახეები.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ,რომ „კრეატიული ეკონომიკა“ არის ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი და მისი კონკურენტუნარიანობის მთავარი მოთხოვნილება.“კრეატიული ეკონომიკის“ განვითარება დამყარებულია ახალ-ფენომენზე-ეკონომიკური ზრდის შეუზღუდავ რესურსებზე, ადამიანის შემოქმედებით უნარზე.კრეატიულობა,რომელიც ვლინდება ახალი იდეების გენერირებაში და რომელიც ექვემდებარება რეალიზაციასა და შემდგომ კომერციალიზაციას, შეუძლია გაზარდოს წარმოება დამატებითი შრომისა და კაპიტალის გამოყენებით.ეს მოვლენა ხელს უწყობს დამატებული ღირებულების ზრდას, რომელიც ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელია.იგი დაფუძნებულია განუსაზღვრელ შემოქმედებით რესურსებზე,ინტელექტუალურ-კრეატიულ კაპიტალზე. ამ რესურსების ფლობით შეიძლება მივაღწიოთ ფართომასშტაბიან ცვლილებებს წარმოების შეზღუდულ რესურსებსა და ფაქტორებზე. რა პერსპექტივა არსებობს ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში „კრეატიული ეკონომიკის“განვითარებისა? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალი ეკონომიკური ზრდის ამოუწურავი წყაროა, ამ შემთხვევაში ეკონომიკები, რომლებიც დამყარებულია ცალკეული ადამიანის პოტენციალზე, სწრაფად ”აკრიფავენ სიჩქარეს“და გაუსწრებენ ქვეყნებსა და რეგიონებს, რომლებიც არ აკეთებენ აქცენტს ასეთ შემოქმედებითი კაპიტალის გამოყენებაზე . ჩვენი აზრით საჭიროა უფრო მეტი ღრმა კვლევების ჩატარება იმ კითხვებზე პასუხის გასაცემად, რომლებიც ხელს შეუწყობს ცალკეული რეგიონების „კრეატიული ეკონომიკის“ განვითარებასა და, საბოლოო ჯამში, ეკონომიკუ-

რად მაღალგანვითარებულ და დაბალგანვითარებული რეგიონების გათანაბრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. НПЛ Управление креативностью Дилтс-СПБ Питер 2003 с.51-54.

2. Самородова Д.-Креативность-мифы и реальность.СМЕНА .ЯНВАРЬ.2008.СТР.44-51

3.Словарь психолога-практика.сост.С.Ю.Головин. 2 изд. перер. и доп. Мн. Харвест. М.АСТ.2001.308.

4.Степанов А.А.Савина М.В. и др.-Человеческие ресурсы в креативной экономике(международнаяколлективная монография),М.11.формат.2014.стр.239.

5.Степанов-Социальный капитал и иноватизации и модель его реализации в экономике(международная коллективная монография) М.11.Формат.2014.ст.239.

6.Флорида Р.-Креативный класс:люди которые меняют будущее.пер.с анг.М. Издательский

Дом «Класика XX1.2005.стр.61.

7.Хокинс Д.-Креативная экономикаюКак превратитьидей в денги.пер.с анг.Перевод с И. Щербакова.

8.htt:/zu Wikipedia.ozg./wiki//.

9. ე. ბარათაშვალი. ი.მახარაშვილი და სხვ. კრეატიული მენეჯმენტის მნიშვნელობა თანამედროვე მმართველობით საქმიანობაში. ივ. ჯავახიშვილის სა.სახ.უნივერსიტეტი. პ.გუგუშვილის სახ.ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციები. ეკონომიკა XX1საუკუნე.თბ. 2017.

10. გ.ჯოლia ა. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ. 2015 წ.

REFERENCES:

1. NPL Creativity Management Dilts-SPB Peter 2003 p.51-54.

2. Samorodova D. - Creativity - myths and reality. CHANGE. JANUARY 2008. PAGE 44-51

3. Dictionary of a practicing psychologist. Compiled by S.Yu. Golovin. 2nd edition, revised and additional. Mn. Harvest. M. AST. 2001.308.

4. Stepanov A.A. Savina M.V. and others - Human resources in the creative economy (international collective monograph), M. 11. format. 2014. p. 239.

5. Stepanov-Social capital and innovatization and the model of its implementation in the economy (international collective monograph) M.11.Format.2014.art.239.

6.Florida R.-Creative class: people who change the future.translated from English.M. Publishing House "Classics XX1.2005.p.61.

7. Hawkins D. - Creative Economy How to turn ideas into money. Translation from English. Translation from I. Shcherbakov.

8.htt:/zu Wikipedia.ozg./wiki//.

9. E. Baratashvali, I. Makharashvili and others. The importance of creative management in modern management activities. Iv. Javakhishvili State University. Scientific conferences of P. Gugushvili Institute of State Economy. Economy XX1st century. Vol. 2017

10. G. Jolia. Creative Economy and Development. Tb., 2015.(in Georgian Language).

CREATIVE ECONOMY: ESSENCE AND PROBLEMS OF DEVELOPMENT

Revaz Shengelia,
PhD, Professor of GTU,
Shalva Kutubidze,
PhD, Assistant Professor of GTU.

RESUME

The article presents the authors' opinion on the essence of creative economy on the content; Scientific and technical progress and post-industrial are clarified its features in the conditions of society; The main directions and trends of its development - progress and resource - are defined; The directions for the formation of adequate features of the creative economy are substantiated in the management system. It is noted that the creative industry is one of the factors of sustainable development and that contributes to the transition to an innovative economy. The essence of the creative industry and the economic characteristics of the creative sector are analyzed. It is noted that there were some fundamental changes at the end of the last century.

Globalization and the new economy (knowledge economy) - created new guidelines for the creation and development of the highly economic so-called "creative economy". The basis for the development of the creative economy became the creative potential of a person.

Currently, it is quite difficult to accurately assess the effectiveness and adequacy of the measures taken. The fact that the creative industry needs support is undeniable. The role of the state in ensuring the potential success of creative industries is crucial, as the state plays an important role in all key factors related to the development of the industry, such as the level of education, economic diversification, infrastructure, etc.

On the basis of our research, we can point out that in the 21st

century, a creative human resource should become an important factor in the development of the economy, which has creative thinking in all areas of the public economy and the ability to make and implement economic decisions. Creativity will eventually be the main potential and tool in the economy with traditional ways of thinking and management together. The leaders of socio-economic and scientific-technical progress will be only those companies that master the science of creative management of socio-economic development. Only these enterprise companies, organizations will effectively develop at the stage of the creative economy and will be able to move to mechanisms and tools of creative management of socio-economic development. It is clear that in the first stage of the innovative economy, employers will pay a lot of attention to engineering and technical staff, specialists who will have high professional knowledge, skills, competencies, high intelligence and creativity of thinking, ambition and "aggression".

Keywords: creative economy, trend of progress and regression, non-standard administrative decisions, socio-economic relations Unity system, innovative activity, creative management.